ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი პირველადი ჯანდაცვის რგოლებთან ერთად ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს კოვიდ–19-ის ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე გავრცელების რისკების შემცირების მიზნით.

კოვიდ–19-ის ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე მუნიციპალიტეტის მასშტაბით დარეგისტრირებულია 23 შემთხვევა. სულ თვითიზოლაციაში გვყავდა 220 პირი, მათ შორის პირველი ორი შემთხვევის 19 კონტაქტების 31 პირს უკვე დაუმთავრდა თვითიზოლაციის ვადა. მათ ჩვენს მიერ ჩაუტარდათ ტესტირება. ყველა მათგანი არის ჯანმრთელი, მათ ვირუსი არ დაუდასტურდათ. დანარჩენი 21 შემთხვევასთან კონტაქტირებული პირია 184. ამჟამად ისინი თვითიზოლაციაში არიან და მათ ჯანმრთელობაზე დაწესებულია სამედიცინო მეთვალყურეობა.

ჯანდაცვის ცენტრის მიერ მკაცრად კონტროლდება მწვავე რესპირატორული სინდრომებით და კოვიდ–19-ზე საეჭვო ნიშნებით დაფიქსირებული თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნებისმიერი სიცხიანი პირის გადამისამართება ხდება ოჯახის ექიმთან ან შეუძლიათ დარეკონ 112-ში დიაგნოზის დადგენის მიზნით.

კოვიდ–19-ს პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობის დადგენილებით სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჯანდაცვის ცენტრი ყოველ 14 დღეში ერთხელ აწარმოებდა რისკ-ჯგუფების გამოკვლევას.

რისკ-ჯგუფებს მიეკუთვნება ხობის პოლიციის სამართველოს, სახანძრო-სამაშველო სამსახურის, დაცვის პოლიციის თანამშრომლები, მუნიციპალური სამგზავრო მიკროავტობუსების მძღოლები, მოსწავლეები, სკოლამდელები, ჯანდაცვის პირველადი რგოლები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პერსონალი, ლაბორანტები და ეპიდემიოლოგები. მათი პჯრ ტესტირების შედეგად გამოვლინდა 21 კოვიდ-19-ით დაინფიცირებული პირი, დაავადების კერებში ჯანდაცვის ცენტრის მიერ გატარებული იყო და დღესაც ტარდება ეპიდემიის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები.

მ/წლის 7 ოქტომბრიდან კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საქართველოს მთავრობასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით 14 დღეში პჯრ ტესტირება ჩაუტარდებათ ჯანდაცვის პირველადი რგოლების თანამშრომლებს და ჯანდაცვის ცენტრის იმ თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ ატარებენ ღონისძიებებს კოვიდ-19-თან მიმართებაში მისი პრევენციისთვის.

როგორც ყველასთვის ცნობილია, მ/წლის აგვისტო-სექტემბერში, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც მოიმატა კოვიდ–19-ით დაავადებული ადამიანების რაოდენობამ, ათეულობით შემთხვევები დაფიქსირდა ჩვენი რეგიონის მუნიციპალიტეტშიც..

შემთხვევების მატება გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობამ მოადუნა ყურადღება და სიფრთხილე ვერაგი და უჩინარი ვირუსის კოვიდ-19-ის მიმართ.

გაზრდილი შემთხვევების გამო მოსახლეობამ უფრო მკაცრად უნდა დაიცვას რეგულაციები. უნდა ვატაროთ პირბადე ნებისმიერ დახურულ სივრცეში, შენობა-ნაგებობებში, ტრანსპორტში, ხალხმრავალ ადგილებში, უნდა მოვერიდოთ მოგზაურობას, არ უნდა მოვაწყოთ ხალხმრავალი დაბადების დღეები, ქორწილები, ქელეხები, დავიცვათ დისტანცია. არ შევეხოთ ხელებით სახის ღია ნაწილებს–პირს, ცხვირს, თვალებს, ხშირად დავიბანოთ ხელები საპნით და დავიმუშაოთ სპირტის შემცველი ხსნარებით.

### მკაცრად დავიცვათ რეკომენდაციები!

მ/წლის სექტემბრის თვეში ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მირ შექმნილ სამუშაო ჯგუფთან ერთად კოვიდ–19-ის პრევენციისთვის რეკომენდაციები გავეცით და გავაფრთხილეთ ქ. ხობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები.

ჯანდაცვის ცენტრის მიერ კოვიდ–19-ის პრევენციისთვის შესახებ რეკომენდაციები იყო გაცემული ხობის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის საჯარო სკოლებზე შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით.

ჯანდაცვის ცენტრისა და სკოლამდელი გაერთიანების მიერ ერთობლივად გასვლითი ღონისძიებების სახით საინფორმაციო და მოსამზადებელი სახის შეხვედრები ჩატარდა მუნიციპალიტეტის ყველა 25 საბავშვო დაწესებულების მთავარ სპეციალისტებთან და თანამშრომლებთან კოვიდ-19-ის პრევენციისათვის.

დღევანდელი მდგომარეობით მუნიციპალიტეტში მომატებულია შემთხვევების რაოდენობა, მაგრამ იმედს გამოვთქვამთ, რომ მოწოდებული რეკომანდაციების დაცვით, მნიშვნელოვნად შემცირდება შემთხვევების რაოდენობა და მიღწეული იქნება წარმატებები კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე. ექიმი-პროფილაქტიკოსი.***

## ჩვენს მუნიციპალიტეტში



ხობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში 60 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 399 399 ლარს შეადგენს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ოქტომბერში დასრულდება და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ გარემოში წარიმართება.

მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ დაათვალიერა.

ახალ სასწავლო წელს ძველ ხიბულაში აღსაზრდელები ახალი თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღში შეხვდებიან, რომელიც ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით აშენდა.

ამ ეტაპზე ხობის მუნიციპალიტეტში 13 საბავშვო ბაღში მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

იგეგმება პირველი ხორგის საბავშვო ბაღის მშენებლობა.

---



ქალაქ ხობში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა.

საკონსულტაციო ცენტრი იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა, ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ გახსნეს.

ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ეძლევა უფასოდ მიიღოს კვალიფიციური იურისტის კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე.

ხობის კულტურის სახლში რაჟდენ კუპრაშვილმა მერის წარმომადგენლებს და საკრებულოს წევრებს იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმები გააცნო.

იურიდიული დახმარების სამსახური უფასო სამართლებრივი დახმარების გამწევი სახელმწიფო ორგანიზაციაა. იურიდიული კონსულტაცია ხელმისაწვდომია ყველა პირისთვის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო გადახდისუუნარო პირებისთვის ხორციელდება სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა და საადვოკატო მომსახურების გაწევა სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

---



ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტი ადგილობრივმა მოსახლეობამ დასახლების კრებაზე შეარჩია.

სტადიონის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია გაეცნო.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 11591 ლარს შეადგენს.

წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხეთის სტადიონს, გურიფულში მიმდინარეობს ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა, ხოლო შავღელეს, ხამისკურის და ყულევის სპორტული მოედნების რეაბილიტაცია უახლოეს პერიოდში დასრულდება.

# „მჯერა, სოფელში ყველაფერი კარგად იქნება...“

## მთვარისა ბართია–ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში



***ცოტა რამ სოფელზე...***

–პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეული მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო ზემო-სვანეთის მხარეში, ხობის მუნიციპალიტეტში. მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ოდიშის დაბლობზე–ზღვის დონიდან 10 მ-ის სიმაღლეზე. სოფელი მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 30 კმ-ით. მისი საერთო ფართობი შეადგენს 3250,35 ჰა.

სოფელში არის ერთი ცენტრალური ქუჩა (წმინდა ბარბარეს ქუჩა) და 6 პატარა ქუჩა (სამეგრელოს, ფოთის, წმინდა გიორგის, ვანის, ნიკო ნიკოლაძის და კოკაიას ქუჩები).

პატარა ფოთი არსებობის ერთ საუკუნეზე მეტს ითვლის. სოფელი ახლოს მდებარეობდა ქალაქ ფოთთან და მოსახლეობა 40 კომლს ითვლიდა (ისინი მარტვილის, ჭიათურისა და ვანის რაიონებიდან ჩამოსახლებულან), ამიტომაც სოფლისათვის უწოდებიათ „პატარა ფოთი“. მას სოფლის სტატუსი დავით დადიანის დროს XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონია. მოსახლეობა ქალაქს ძირითადად უკავშირდებოდა მდინარე რიონის საშუალებით, სადაც გადაადგილდებოდნენ ნავებით და ტივებით, ხოლო სახმელეთო გზა მათთვის საცალფეხო ბილიკი ყოფილა.

ამჟამად პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ირიცხება 396 კომლი, აქედან მუდმივად მცხოვრები არის 255. ადმინისტრაციულ ერთეულში ასევე რეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა 18 ოჯახი, ამათგან ადგილზე ცხოვრობს 9 ოჯახი. მოსახლეობის 0,03 % იმყოფება საზღვარგარეთ. მაცხოვრებელთა სრული შემადგენლობა არის ქართველი.

***ქალბატონო მთვარისა, დაახასიათეთ თქვენი თავი.***

–1977 წლის 23 მარტს დავიბადე, მართლმადიდებელი ქრისტიანი გახლავართ. ვარ ძალზე კომუნიკაბელური და სამართლიანი. ჩემი ჰობი წიგნების კითხვაა, საყვარელი მწერალია კონსტანტინე გამსახურდია.

სპეციალობით ექიმი ვარ, დავამთვრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 1996–2002წ.

ამჟამად ვარ ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში.

***როგორ იწყება თქვენი ახალი დღე?***

–ვცდილობ ყოველი დილა მქონდეს დადებითი აქტივობებით დატვირთული, რადგანაც სასიამოვნო დილა კიდევ ერთი ბედნიერი დღის საწინდარია.

***რა არის ის თემა, რომელზედაც ყოველდღე საუბრობთ?***

–ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, ყოველ დღე მიწევს საუბარი ჩემი სოფლის მოსახლეობასთან სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე. მაქსიმალურად ვცდილობ, დავეხმარო თითოეულ მოსახლეს პრობლემის მოგვარებაში. გვყავს მუნიციპალიტეტის საკრებულოში დეპუტატი აკაკი ხურცილავა, რომელიც ასევე აქტიურად არის ჩართული სხვადასვა პრობლემატური საკითხის გადაჭრაში. ჩვენი ძალისხმევით და ადგილობრივი მთავრობის დახმარებით ჩვენს სოფელში მცხოვრებ არაერთ მოქალაქეს მატერიალური და ფინანსური დახმარება გავუწიეთ (სამ ოჯახს გადავუხურეთ საცხოვრებელი სახლი; რამოდენიმე პიროვნებას–საოპერაციოდ საჭირო თანხა).

***გვიამბეთ იმ სიახლეებზე, რაც ხდება და მოხდა სოფელში წელს?***

–დაიგო ცემენტ-ბეტონის გზის საფარი 4,5 კმ-ის მანძილზე, სრული რემონტი ჩაუტარდა საბავშვო ბაღს, გაკეთდა ხიდ-ბოგირები, შემოიღობა სასაფლაოების ეზოები. ამჟამად მიმდინარეობს გარე განათების სისტემის მოწყობა.

**გვესაუბრეთ სოფელში არსებულ სამსახურებზე.**

–საჯარო სკოლა, რომელიც აშენდა 1939 წელს, დღესაც ფუნქციონირებს. ამჟამად სკოლაში სწავლობს 86 მოსწავლე და დასაქმებულია 25 თანამშრომელი. დირექტორი გახლავთ შორენა ბართია. პანდემიის მიუხედავად, ჩვენს საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი განახლდა 15 სექტემბერს. პირველ კლასში ჩაირიცხა 9 მოსწავლე. სწავლება ხორციელდება საკლასო ოთახებში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის სრული დაცვით.

საბავშვო ბაღი, სადაც არის შერეული ჯგუფი, ირიცხება 33 აღსაზრდელი და დასაქმებულია 6 თანამშრომელი. მთავარი სპეციალისტია თინათინ ხელაია. საბავშვო ბაღში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა თორმეტ ოქტომბერს დაიწყება. აქ აღსაზდრელები კოვიდ-19-გან ყოველმხრივ დაცულები იქნებიან.

სოფელში ფუნქციონირებს და მოსახლეობას ემსახურება სამედიცინო ამბულატორია, სადაც დასაქმებულია ორი თანამშრომელი. ექიმი–თეა ლატარია და მედდა–ნატო შონია.

სოფელში არსებობს ღვთის სახლი–წმინდა დიდმოწამე ბარბარეს სახელობის სამლოცველო, სადაც მღვდელმსახურებას ეწევა მღვდელი ანდრია, (ერისკაცობაში ლევან ჟვანია).

ჩვენთან ფუნქციონირებს რამოდენიმე საწარმო: შ.პ.ს „მონოლით ტრანსი“, შ.პ.ს „ტრანსკო“, შ.პ.ს „პრაიმ ბეტონი“, შ.პ.ს „სან-პეტროლიუმ ჯორჯია“, შ.პ.ს „გეოფიშფაქტორი“, შ.პ.ს „კარგო გრუპი“, შ.პ.ს „არსი“, შ.პ.ს „აიხანს ტრანსი“, შ.პ.ს „ასპ გრუპი“, შ.პ.ს „კავკასიის საექსპედიტორო კომპანია“, შ.პ.ს „ელ.ენდ.ჯი“, შ.პ.ს „ალასკა“.

აღნიშნულ საწარმოებში ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა. პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმების მაჩვენებელი არის საშუალო. დასაქმებულია 291 პირი, რომელიც შრომისუნარიანი მოსახლეობის 46 %-ს შეადგენს. აქედან საჯარო სამსახურში მუშაობს 14 %, ხოლო კერძო სექტორში–86 %. მოსახლეობის უმუშევრად დარჩენილი 54 % შემოსავლის მიღების მიზნით, თვითდასაქმებულია ოჯახურ მეურნეობაში.

***როგორია თქვენი ცხოვრების რეჟიმი?***

–ვფქირობ, საკმაოდ დატვირთული ცხოვრების რეჟიმი მაქვს.

***ქალის როლი საზოგადოებაში–რას ნიშნავს თქვენთვის?***

–ვფიქრობ, ქალი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის აღიქმებოდა სუსტ სქესად, მისი ძლიერი მხარეებიც ჩანდა და აღიარებას ჰპოვებდა საუკუნეების მანძილზე. ქალს რაღაც განსაკუთრებული უნარი გააჩნია. მას შეუძლია თავისებურად მიუდგეს პრობლემას, აქტიურად ეძებოს გადაჭრის გზები, გამჭრიახი გონებით სასურველ შედეგამდე მიიყვანოს საქმე. ყველასთვის მეტნაკლებად გაგებული და აღქმულია, რომ ქალი პირველ რიგში, არის დედა. ეს ფაქტია და დაუწერელი კანონი.

დედობა ყველაზე რთული საქმიანობაა ამ ქვეყნად და გასამრჯელოც ყველაზე მაღალია. სწორედ იმიტომაა ქალი ძლიერი, რომ მას შეუძლია და ღმერთმა არგუნა დედობის უფლება და სწორედ ამიტომ ნებისმიერი საქმიანობისთვის წარმატებით თავის გართმევა შეუძლია.

დღევანდელ ხელისუფლებაში ქალის როლი მნიშვნელოვნად არის დაფასებული. პრეზიდენტი გვყავს ქალბატონი, ყოველი მეოთხე პარლამენტარი არის-ქალი და სხვადასვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხშირად გვხვდებიან ქალები. სულ რომ არაფერი ვთქვათ, მარტო თამარ მეფე გვყოფნის სატრაბახოდ, რომლის პოლიტიკურმა ხედვამ, გამჭრიახმა, შეუპოვარმა ნაბიჯებმა აქცია საქართველო ყველაზე დიდ და ძლიერ სახელმწიფოდ.

***პანდემიის დღეებში როგორ გამოიყურებოდა სოფელი?***

–სოფელი გაგებით მოეკიდა ყველანაირ შეზღუდვებს, მკაცრად ვიცავდით საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის სისტემის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს. საბედნიეროდ, ვირუსის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. დახმარება გავუწიეთ სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებს (მრავალშვილიანები, სოციალურად დაუცველები, მარტოხელები) საკვები პროდუქტებით, მედიკამენტებითა და ჰიგიენური საშუალებებით.

***როგორ გესახებათ სოფლის ხვალინდელი დღე, რის მოლოდინში ხართ?***

–ბუნებით ვარ ოპტიმისტი და კარგის მოლოდინში გახლავართ, მჯერა და დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება! ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დიდი მხარდაჭრით შევძლებთ სოფლის პრობლემური საკითხების მოგვარებას და თითოეულ მაცხოვრებელს შევუქმნით ცხოვრების უკეთეს პირობებს. ე.ი. ვართ მომავლის იმედით, უკეთესის მოლოდინში.

***P.S დიდი მადლობა თქვენს სარედაქციო კოლექტივს! უფალმა მოგმადლოთ სიკეთე, ბევრი მკითხველი და ახალ–ახალი წარმატებები!***

***ესაუბრა***
***ნანი კილასონია.***

# კვალი ნათელი

## ნუგზარ ნადარაიას ხსოვნას



ხობის საზოგადოებას ახსოვს უზარმაზარი ენერგიითა და აღმშენებლობის სურვილით, დროსა და კოლოსალურ ბიუროკრატიულ ძალასთან ჯიუტად შეჭიდებული ახალგაზრდა ნუგზარ ნადარაია, რომელმაც შეუძლებელი შეძლო და ხობის ისტორიის მთელი ეპოქა შექმნა. იმ დროს აშენდა ადმინისტრაციული შენობები, სპორტული კომპლექსები, კულტურის სასახლე, ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და თეატრონი... ქალაქის გამწვანება და მრავალი სხვა. ხობში მრავალი მამულიშვილი აღზრდილა, მრავალს უმოღვაწია, ნუგზარ ნადარაიას კი გამორჩეული და თვალსაჩინო ადგილი უკავია მათ შორის. იგი ხობის საზოგადოების მიერ დამსახურებლად არის აღიარებული ხობის ისტორიაში ერთ-ერთ ღირსეულ და საპატიო მოქალაქედ. მისი ხელმძღვანელობის დროს ხობი გადაიქცა საერთაშორისო დონის კულტურისა და სპორტის ცენტრად. ბატონ ნუგზარ ნადარაიას სახელი აღმშენებლობასთან ასოცირდება და ამიტომაც სრულიად სამართლიანად ხობელები მას „ხობის აღმაშენებელს“ უწოდებენ. სულ რომ არაფერი გაეკეთებინა, მისი სახელის უკვდავსაყოფად, ისიც საკმარისი იყო, რომ მან ჩაუყარა საფუძველი ხობის მონასტერთან დღეს უკვე ტრადიციადქცეულ „ცოტნეობის“ დღესასწაულს, რითაც სათავე დაუდო ჟამთა ვითარებისაგან და ადამიანთა გულქვაობით მიტოვებულ და მივიწყებული ხობის მონასტრისა და უაღრესად ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის წარმოჩენას ფართო საზოგადოების წინაშე. იმ პერიოდში პარტიული ფუნქციონერის მიერ წარსულით დაინტერესება საკმაოდ სარისკო საქმე იყო, მოგეხსენებათ ცოტნე დადიანის ეპოქა იყო სასტიკი, ვერაგი და სისხლიანი, არანაკლები იყო XX საუკუნეც, ოღონდ სისასტიკისა და სისხლისღვრის მეთოდები უფრო დაიხვეწა, რეჟიმი განსხვავებული აზრისა და მისწრაფებების ადამიანებს არ ჰგუობდა, ბატონ ნუგზარს ცხადია ბეწვის ხიდზე უწევდა გავლა, მიუხედავად ამისა, მან სძლია სირთულეებს და მისი თაოსნობით აღდგენილიქნა მონასტრის გალავანი, ტაძარი და სამრეკლო, ნაგებობებს წლების განმავლობაში აწვიმდა და სპილენძის ფურცლით გადაიხურა, კეთილმოეწყო მონასტრის ტერიტორია...

ნუგზარ ნადარაია 1975-1986 წლებში თავკაცობდა ხობის რაიონს, იგი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, ბოლო წლებში ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი იყო. მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა სამეცნიერო ჟურნალი „ცოტნეიდელი“, იგი იყო ცოტნე დადიანისა და გიორგი ჭყონდიდელის წმინდანად კანონიზირების უზრუნველსაყოფად სახალხო მოძრაობისა და ფოთში აღდგენილ სამეგრელოს მოედანზე ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმის ინიციატორ-თაოსანი, ფაზისის ეპარქიის საელესიო საბჭოს, პარლამენტართა დარბაზის, სამეგრელოს გეოგრაფიული ატლასის სამეცნიერო საბჭოს, გაზეთების „ფაზისის“, „დიოსკურიას“, „ნიკოლაძის გზით“, „ქალდეას“ სარედაქციო საბჭოს წევრი. იყო საზოგადოებრივი მოძრაობა „ჭყონდიდელ-ცოტნეიდელის“ დამაარსებელი და თავმჯდომარე, ქართული თეატრისა და სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის აირჩიეს თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და ქართველ სპორტსმენთა ლიგის საპატიო წევრად.

არჩეული იყო უკრაინის ქალაქ გოროხოვოს, ლიტვის ქალაქ კრეტინგას, ხობის, იყალთოს, ჩარგალის, მარტვილისა და ფოთის საპატიო მოქალაქედ.

მას უამრავი სახელმწიფო ჯილდო აქვს მიღებული, მაგრამ მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის სამი ფოტოსურათი, რომელიც სხვადასხვა დროს მას პირადად პატრიარქმა აჩუქა, აგრეთვე ის გულსაბნევი ვერცხლის ჯვარი, რომელიც ასევე პატრიარქმა აჩუქა და მუდმივად ატარებდა. ძალიან ამაყობდა პატრიარქის სიგელით, რომელიც მიიღო ქრისტეს შობიდან 2000 წლისთავის დღესასწაულის აღნიშვნაში შეტანილი წვლილისთვის.

განვლილი წლების გადასახედიდან ბატონ ნუგზარს ადამიანთა ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა მეგობრობა, სიყვარული და ერთიანობა, რის შესახებაც ხატოვნად ამბობდა და შეკითხვასაც სვამდა: „შთამომავლობისათვის ლეგენდადქცეულ ცოტნეიდელთა თანადგომა აღმაფრთოვანებს, სამოქმედოდ განმაწყობს. წმინდა სამების ნათელ-მირონის მადლით ანთებული სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. ტაძრისაკენ მიმავალ ხსნის გზას მუდამ იპოვის, ამიტომაც გწამდეს ღმერთი და გვიყვარდეს ერთმანეთი. რა სჯობს ამას?”

გვიან შუასაუკუნეებში ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ სპეციალურად შემოიღო ბედიელ-ალავერდელის სასულიერო თანამდებობა, რომელიც ერთ პირს ებარა, რითაც ქართული ეკლესია აერთიანებდა გათითოკაცებულ და დანაწევრებულ საქართველოს.

XX საუკუნის ბოლოს ეს უაღრესად სახელმწიფოებრივი საქმე ეკლესიასთან ერთად ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ იტვირთა, თავის თანამოაზრეებთან ერთად ჯერ ეროვნული გმირის ცოტნე დადიანის ბრწყინვალე ძეგლი აღმართა ფოთში, ხოლო შემდეგ წმ. ცოტნე აღმსარებლის ხატით მოიარა მთელი საქართველო, რითაც მაქსიმალურად ხელი შეუწყო იმ სულიერი და ფიზიკური ბზარების შევსებას და აღმოფხვრას XX საუკუნის 90-იან წლებში რომ იჩინა თავი.

ბატონ ნუგზარ ნადარაიას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ენის ფენომენი, ის რომ ენის საკითხი ძალიან ფაქიზი თემაა და მის მახვილ თვალს არ გამოპარვია, რომ მავანნი, ხელს უწყობენ საზოგადოებაში არსებული ბზარის გაღრმავებას, მხედველობაში გვაქვს, ის რომ ცდილობენ (საბედნიეროდ ისინი ბევრნი არ არიან) ქართველური ენები მეგრულ-ლაზური და სვანური ჩამოაქვეითონ დიალექტებამდე, ამის შესახებ ბატონი ნუგზარი წერს: „ამას ისინი აკეთებენ შეგნებულად, მიზანმიმართულად, ვინაიდან მათ კარგად იციან შემდეგი ჭეშმარიტებაც: „დიდი ენა, ანუ დედა ენა დიდ მდინარესა ჰგავს, რომელიც შენაკადებით საზრდოობს; დაშრებიან რა შენაკადები, შრება დიდი მდინარეც. ასევეა ენაც. იგი საზრდოობს და ვითარდება მონათესავე ენებისა და დიალექტების ხარჯზე; მოკვდებიან რა ესენი, წყდება ზრდა და განვითარება დიდი ენისა და კვდება ისიც“.

ცნობილია, რომ ჩვენი რეგიონი, მდინარე რიონის ქვემოწელი, ქალაქი ფოთი ის ადგილია სადაც კოლხური ცივილიზაციის აკვანი დაირწა. ძველი ფაზისი იყო ის ადგილი, სადაც დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციები ხვდებოდა ერთმანეთს. ვინაიდან ქართული სახელმწიფოებრიობის სათავე ძველი კოლხეთია, მის შესწავლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს; უძველესი ფაზისის აკადემია, რომელსაც დიდი ქართველი მეცნიერები გიორგი ჩიტაია, გიორგი ჯიბლაძე, ილია ვეკუა, ანდრია აფაქიძე, ილია ტაბაღუა, ცოტნე მირცხულავა და ბოლო წლებში ნუგზარ ნადარაია ხელმძღვანელობდა, წარმოადგენს კოლხური ცივილიზაციის შემსწავლელ მძლავრ სამეცნიერო კერას. ფაზისის აკადემიის ამოცანების შესახებ ბატონი ნუგზარი ამდაგვარ განმარტებას აკეთებდა: „საუკუნეების მანძილზე, ისტორიული ფაქტებით დადგენილი ჭეშმარიტების, პოლიტიკური კონიუქტურის ზეგავლენით, სუბიექტივიზმისაგან დაცვა, ყოველ პატრიოტს ღირსებასა და სიამაყესთან ერთად ქვეყნისა და ერის წინაშე განუზომელ პასუხისმგებლობას აკისრებს. იგი პირველ რიგში მომავალი თაობისადმი ჩვენს მზრუნველ გულშემატკივრობას შეეხება. რამეთუ ყოველი მომდევნო თაობა წინამორბედისგან მემკვიდრეობით გადაიბარებს მამულის შემდგომი აღორძინება-აღმშენებლობის საზრუნავს. ამ თვალსაზრისით, თანამედროვენი, თუ რამეს ვერ შევმატებთ სამშობლოს, ის მაინც შევუნარჩუნოთ შთამომავლობას, რაც ჩვენმა წინამორბედებმა გადმოგვაბარეს... რამეთუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პარალელურად, სულიერებისა და განსაკუთრებით ზნეობის რეგრესის საუკუნეში გვიხდება ცხოვრება... ჩვენი ამოცანაა ღვთის ნებითა და მადლით, ობიექტურ ფაქტებზე (წყაროებზე) დაყრდნობით ისტორიული ჭეშმარიტების ძიება-დადგენა. მისი დაცვა და პროპაგანდა კი, ფაზისის აკადემიის უპირველესი საზრუნავია... მივმართოთ ისტორიულ წყაროებსა და ფაქტებს, ისტორიის მსოფლიო მასშტაბის მკვლევართა ნააზრევსა, თუ ჩვენდამი ყურადსაღებ ნაანდერძევ-ჭეშმარიტებას, რომელშიაც ეჭვის შეტანა დიდი ცოდვაა და ამდენად დაუშვებელია“.

ნუგზარ ნადარაია მთავარ ადგილს ქართველ მოღვაწეთა შორის ანიჭებდა დავით აღმაშენებელსა და გიორგი ჭყონდიდელს, რის შესახებაც წერდა: „ჭყონდიდელ-აღმაშენებლის ერთობის გარეშე ვერ შედგებოდა დიდი საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. მისთვის გამორჩეული და განსაკუთრებული გმირი იყო ცოტნე დადიანი-აღმსარებელი, მისი ცხოვრებისეული არჩევანი კი, ცოტნეიდელობა.

„აღმსარებლობა უფლის ათივე მცნებისა და თავდადება სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასისათვის“, ცოტნე განსაკუთრებული ფენომენია ქართულ სინამდვილეში და თუ ეს ასე არ არის მოვუსმინოთ ჟამთააღმწერელს: „დადიანი ცოტნე, კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი“, მეომრობა-ბრძოლა უხეშ ძალასთან ასოცირდება და კაცი კარგი მეომარიც იყოს და ამავე დროს სათნოებიანიც ეს ნამდვილად ღვთიური ნიჭია და მისი როგორც პიროვნების გამორჩეულობის ნიშანი.

ბატონ ნუგზარ ნადარაია გრძნობდა რა, შთამომავლობისადმი უდიდეს პასუხისმგებლობას, მძიმე ჯვარით მიმავალს დაღლა არ უგრძვნია, ერთგულად ემსახურა სამშობლოსა და დედა ეკლესიას. მომავალი თაობები ჩვენზე უკეთ დააფასებენ მის ღვაწლს. მის ნამოღვაწარს წიგნიც კი ვერ დაიტევს.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ნუგზარ ნადარაია - ცოტნეს მიმდევართა დიდი რაზმეულის უპირობო თავკაცი და ლიდერი ჩვენს გვერდით არ არის. მალე 40 დღე შესრულდება და არ ვიცი რა შეავსებს იმ სიცარიელეს, რაც ბატონ ნუგზარის იმ ქვეყნად წასვლით გაჩნდა... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას უიმედობა არ ჩვეოდა: ამბობდა და მოგვიწოდებდა კიდევაც:

„...ჩვენო ღირსეულო მომავალო თაობავ, საქართველოს იმედო და უკვდავებავ! თქვენდამი ერთი თხოვნით—დაგვაკვირდით და მამულის, ერისა და დედაეკლესიის სადიდებლად ილვაწეთ ჩვენზე უკეთესად და ჩვენდა გასახარად. ადიდეთ უფალი, გიყვარდეთ სამშობლო და მოყვასი, ამრავლეთ სიკეთე, იბრძოლეთ სამართლიანობის დამკვიდრებისთვის, მართლაც, ის ურჩევნია მამულსა და მშობელსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა..“

ჭეშმარიტად კეთილი კვალი დატოვა ბატონი ნუგზარ ნადარაიამ!

ღმერთმა აცხონოს! საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

**გოგიტა ჩიტაია,**
**ხობის საპატიო მოქალაქე.**

## სულთათანა

# კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...

## ლერი ნანეიშვილი



როცა წარსულს იხსენებ, ხშირად ფიქრობ, თუ რა ჩქარა გარბის წლები. უკან მოხედვას ვერ ასწრებს კაცი, არადა თითქოს გუშინ იყო...

ვისაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ხობის რაიონში უმოღვაწია, არ შეიძლება არ ახსოვდეს ერთი ვერცხლისწყალივით დაუდეგარი, ენერგიით სავსე, გულისხმიერი, ნიჭიერი, სამსახურისა და ნაყოფიერი შრომითი მოღვაწეობისთვის გაჩენილი კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...

გარდაცვლილზე ან კარგი, ან არაფერიო,–ამბობენ ძველი რომაელი ჰუმანისტები. როცა გონების თვალი გადავავლე მის ბიოგრაფიას, ერთი ეპიზოდიც ვერ აღმოვაჩინე ისეთი, რომლის სააშკარაოზე გამოტანას უხერხულად მივიჩნევდი.

ბატონი ლერი ნანეიშვილი კ.პ. ხობის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, სახალხო დეპუტატთა ხობის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, აღმასკომის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი, „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი. ორი მედლის მფლობელი. მორალურად მყარი, უმწიკვლო მუშაკი, უაღრესად ერუდირებული და განათლებული, კოლხური სიამაყით გამორჩეული ოჯახის მამა და ბაბუა.

ცხოვრების მანძილზე ადამიანებთან მრავალი კეთილი ურთიერთობებისა და საინტერესო შეხვედრების მოწმე ვყოფილვარ. დროთა განმავლობაში ბევრი გავიწყდება, მაგრამ არიან გამორჩეულები, რომელთა ნათელი მოგონება წარუშლელ შთაბეჭდილებად გრჩება.

სწორედ ასეთი გახლდათ ბატონი ლერი ნანეიშვილი, როგორც სხვა ყველაფერი, მთხოვნელთა მიღებაც გამორჩეული იცოდა. კარგად მახსოვს პირველი ვიზიტი მასთან ყორათის საბავშვო ბაღის რემონტთან დაკავშირებით. ნახევრად ღია კარებში დავაკაკუნე, ავუხსენი მოსვლის მიზეზი, კარგით, კარგით ბაღის გამგე შემობრძანდეს, მორიდებით ჩავიღიმე, მე ვარ მეთქი, ეს პატარა გოგო? ყოჩაღ!

აქედან დაიწყო ჩემი ურთიერთობა ძველი თაობის „მეგობართან“

გახსენების უნარი ღვთიური ნიჭია, სანთელ-საკმეველად, რომ ეფინება ჩვენს მომავალს, იმედს გვისახავს, სიცოცხლეს აზრს აძლევს. ლერი ნანეიშვილის მსგავსნი, იმიტომ იბადებიან, რომ ადამიანებს სიცოცხლე გაულამაზონ, ისინი არ კვდებიან, დიდხანს აგრძელებენ არსებობას მადლიერი ხალხის ხსოვნაში.

ბატონი ლერის განვლილი გზა იმის ბრწყინვალე მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს მუნიციპალიტეტს, ქვეყანას, ხალხს. თავს უფლება მივეცი კიდევ ერთხელ წარმომეჩინა ამ დიდებული ადამიანის ხსოვნა, კიდევ ერთხელ გამეხსენებინა.

მან ბრწყინვალედ მოიხადა მოქალაქეობრივი და სამსახურებრივი ვალი თავისი ხალხის წინაშე და შეუერთდა იმ კოჰორტას, როგორებიც იყვნენ აღმაშენებლად წოდებული ადამიანები ნაღდი ხობელები ბატონები ალიოშა წურწუმია, ვალტერ ბერაია, ნუგზარ ნადარაია, ვახტანგ დოლბაია, ნოდარ შონია და ბევრი და ბევრი (დიდება მათ ხსოვნას). რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. მისი სახელი მათთან ერთად ნათელში იქნება, მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

თავს ვხრი მისი ხსოვნის წინაშე მოწიწებით, კრძალვით... და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ დაწყებულ აღმშენებლობით გზას აგრძელებენ თაობები. შენდება და ლამაზდება ჩვენი ხობი.

***P.S.ვისურვებდი ხობელებმა ყოველთვის სათუთად მოიხსენიონ ხობისთვის და ხობელებისთვის ბოლომდე გახარჯული ადამიანების სახელი და სათუთად შემოინახონ მათი ხსოვნა.***

***ნაირა ბერაია.***

# ჩვენს მუნიციპალიტეტში



ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. გზა წლების განმავლობაში ამორტიზირებული იყო და მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემებს უქმნიდა.

გზის რეაბილიტაციის შესახებ ინიციატივით ადგილობრივმა მოსახლეობამ მერიას მიმართა.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 955 974 ათას ლარს შეადგენს.

პროექტის შესაბამისად დაიგება ცემენტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა ეზოებში შესასვლელები და აშენდება გაბიონი.

გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა გაეცნენ.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსახლეობას კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება.

2013 წლიდან დღემდე ხობის მუნიციპალიტეტში 100 კილომეტრამდე გზის რეაბილიტაცია განხორციელდა.



ხობის მუნიციპალიტეტის ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ამბულატორიის რეაბილიტაცია დასრულდა.

სასოფლო ამბულატორიის რეაბილიტაციაზე 30906 ლარი დაიხარჯა

რეაბილიტირებული ამბულატორია ადგილობრივ მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას კომფორტულ გარემოში გაუწევს.

ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვემო ქვალონისა და შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულების ამბულატორიების რეაბილიტირება.




ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სისტემის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1 მილიონ 573 ათასი ლარია.

წყლის სისტემა უკვე მოეწყო ზემო ქვალონის, ქვემო ქვალონის, ყულევის, ქარიატის, შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და ქალაქ ხობში

# მერი ქიტიაშვილი-რეკვავა



გარდაიცვალა შესაშური ცოდნით, პროფესიონალიზმით, თავმდაბლობით, თბილი ადამიანური ურთიერთობებით გამორჩეული ექიმგინეკოლოგი, ათეული წლები ხობის მუნიციპალიტეტის საავადმყოფოს სამშობიორო სახლის სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების ყოფილი უფროსი, „ღირსების ორდენოსანი“, „ფრიადოსანი“ ექიმი ქალბატონი მერი ქიტიაშვილი-რეკვავა.

ქალბატონი მერი რეკვავა იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, თავიანთი შრომით, პროფესიის ერთგულებით სიცოცხლეშივე რომ ხდებიან უკვდავებასთან წილნაყარნი. იგი იყო ძველი თაობის ექიმი, მან 1947 წელს ხობელ გამორჩეულ, ნიჭიერ ახალგაზრდას აბესალომ (კუკური) რეკვავას დაუკავშირა ცხოვრება და რომ იტყვიან, „მოიწამლა“ ხობელთა სიყვარულით. იმ პერიოდში, როცა ის სამშობიარო სახლის სამეანო გინეკოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა 8 ათასი ახალი სიცოცხლე დაბადებულა... მიუხედავად არსებული პრობლემებისა, არასოდეს დაუწუწუნია, იმედიანად უყურებდა ცხოვრებას. თავისი ერთადერთი შვილის პაატა რეკვავასთვის იგი იყო მაგალითი, როგორ უნდა გიყვარდეს შენი საქმე, კუთხე, როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას, იზრუნო შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებზე, ოჯახზე. ამიტომაც დატოვა მისაბაძი შთამომავლობა–რძალი როზა, ექიმი შვილიშვილი მერი რეკვავა, სიძე ექიმი რადიოლოგი ირაკლი გახოკიძე. შვილთაშვილები მარიამი და ანა, რომლებმაც პენსიაზე გასული ქალბატონი დედაქალაქში გადაიყვანეს საცხოვრებლად, თვალისჩინივით მოუარეს და 95 წლის ასაკამდე „აცოცხლეს“.

უკვე წლებით მხრებდამძიმებულს ბოლო თხოვნაც შეუსრულეს, მისი კოლეგების, მეზობლების და პაციენტების სიყვარული გაუახლეს და უკანასკნელ გზაზე გულისტკივილით, დიდი სითბოთი გააცილეს.

წუთისოფლის დაუწერელი კანონი აღსრულდა... მისი სახელი დიდხანს, ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ ხობელებს, ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

**მერი ლაგვილავა.**

# „როცა ირგვლივ ამდენი სიხარულია, ვერანაირი პანდემია ვერ მოგვერევა!“



ზარი ტელეფონზე... ქალბატონ მერი ლაგვილავას ხმა, მოკითხვების შემდეგ სავარაუდოდ ვხვდები თუ რა შეიძლება იყოს მისი ზარის მიზეზი. მიზეზს მივუხვდი, როგორც ყოფილ კოლეგას და აწ უკვე პირველი საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილეს, თხოვნით მომმართავს, რომელზეც დაუფიქრებლად ვთანხმდები, და თან იმასაც ვხვდები თუ როგორ მომენატრა სტატიის წერა.... ყურმილი ბოლომდე გათიშული არც კი მაქვს და უკვე ვფიქრობ, როგორ დავწერო, დასაწერი, მართლაც ბევრია...

პანდემია... შეჩერებული სწავლება, ონლაინ გაკვეთილები, სწავლას და სკოლას–მოწყურებული მოსწავლეები და მასწავლებლები. ამ ყველაფრის ფონზე პატარა კრეატივიც კი თურმე როგორი თვალში საცემი ყოფილა.

15 სექტემბერმა და ჩვენმა სკოლამ საუბარია ხობის სსიპ №1 საჯარო სკოლაზე, რომელმაც თავისი კრეატიულობით მთელი საქართველო აალაპარაკა და არა მარტო საქართველო.

პირველი ნაბიჯები სკოლაში ყველა მშობლისთვის და მითუმეტეს ბავშვისთვის განსხვავებულ ემოციასთანაა დაკავშირებული. როგორ დახვდება მას სკოლა, მასწავლებლები, გარემო... და სწორედ აქ გაჩნდა იდეა პირველკლასელებს ეზოში სახელდახელოდ მომზადებულ საკლასო ოთახში დავხვედროდით....

სკოლის დირექტორმა, ქალბატონ ქეთინო გაბისონიამ ძალ-ღონე არ დაიშურა იმისთვის, რომ ეს სილამაზე „შეექმნა“. ერთობლივი ძალებით დამზადდა აპლიკაციები. გვიან ღამე მოვრჩით ღია ცისქვეშ „ოთახის“ მოწყობას. დავიშალეთ იმის მოლოდინით, რომ ხვალინდელი დილა ბევრ ადამიანს გააბედნიერებდა... პირველად შემეშინდა წვიმის წვეთების... მაგრამ ქეთინომ ესეც ოპერატიულად მოაგვარა... ცოტა ხანში პოსტს დადებს



ფეისბუქზე შემდეგი სიტყვებით: „როცა წვიმის ყველა წვეთი გულზე გაწვიმს...“

წვიმამ გადაიღო... გათენდა, მზემ გამოანათა... ახმაურდა სკოლა, ხალისით აივსო ირგვლივ ყოველივე, თვალანთებული პატარები, გახარებული მშობლები... პირველ მასწავლებელთან შეხვედრის უცნაური წამები... უყურებ ამ ყველაფერს და ფიქრობ... როცა ირგვლივ ამდენი სიხარულია, ვერანაირი პანდემია ჩვენ ვერ მოგვერევა...

წინ ახალი გამოწვევები გელოდებათ პატარებო. მინდა თქვენს თვალებში მუდამ კიაფობდეს მზის სხივი, იყავით ლაღები და ბედნიერები... წარმატებული გზებით გევლოთ მრავალჟამიერ... ჩვენ კი თქვენით მუდამ გვეამაყოს...

**ნინო გერგაია**

გილოცავთ!

## ნუგზარ ჯაგუს ძე ნადარაიას!

გულითადად გილოცავთ დაბადების 70-ე წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს, თქვენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად.

ნადარაიების საგვარეულოს სახელით

**ბეჟან ნადარაია**

## გარემოს ცვლილებები იწყება საკუთარი თავის ცვლილებით!

განათლების და განვითარების ცენტრი თოლისკური ხობის მუნიციპალიტეტში 2014 წლიდან მუშაობს, როგორც საინიციატივო ჯგუფი, ხოლო 2017 წლიდან– როგორც სათემო ორგანიზაცია. მათი ძირითადი სამიზნე ჯგუფია ოთხი თემის: თორსა, ხამისქური, ხეთა და პირველი მაისის ახალგაზრდები.

თოლისკური მუშაობს ისეთი გარემოს შექმნაზე,სადაც მოსახლეობა და განსაკუთრებით კი ახალგაზრდები ერთად აგვარებენ თემში არსებულ პრობლეებს, არიან აქტიური გარემოს დამცველები, ცხოვრობენ ჯანსაღი ცხოვრების წესით, გამართული ინფრასტრუქტურის მქონე, კეთილმოწყობილ გარემოში. თანასწორი და ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის კი ორგანიზაცია სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს, ქალებს, მოწყვლად ჯგუფებს თავაზობს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, კულტურულ და ინტერესთა დაცვის კამპანიებს.

თოლისკური აქტიური და ცვლილებებზე ორიენტირებული ორგანიზაციაა, შესაბამისად მათ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განუხორციელებიათ ხობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, თუმცა არის ისეთი პროექტები, რომელთა არსებობაც თანამედროვე მოთხოვნებთან ერთად აუცილებელია.

სოფელ თორსაში დაარსდა სოციალური საწარმო „ჩირიგე“, სადაც დასაქმებულია იძულებით გადაადგილებული ქალები და საწარმოდან შემოსული გარკვეული თანხა ხმარდება ახალგაზრდების მიერ მოძიებული პრობლემების მოგვარებას.

ორგანიზაციამ 2019 წელს ქ.ხობში უცხოური არასამთავრობო ორგანიზაცია ASB დაფინანსებით და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ქ.ხობში დაფუძნდა 6-18 წლამდე შშმ ბავშვთა დღის ცენტრი, სადაც ირიცხება 20 ბენეფიციარი.

დღის ცენტრი დაკომპლექტებულია მაღალ კვალიფიციური კადრებით. (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, არტთერაპევტები (მუსიკა,ხელოვნება), ინდივიდუალური ასისტენტი. სწავლება მიმდინარეობს თითოეული ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ფორმალური და არაფორმალური განათლების მეთოდების შერწყმით.

**მიმდინარე პროექტები:**

**დონორი „თბილისის ადამიანის უფლებების სახლი“.**

- დღის ცენტრი აღიჭურვება პლანშეტებითა და ლეპტოპებით,შესაბამისად სწავლება გაგრძელდება თანამედროვე სტანდარტების შესაფერისად.
- სოციალურ საწარმოში შეძენილი იქნება საბრუნავი საშუალებები

**დონორი „კავკასიური სახლი“**

- ოთხ სოფელში საბჭოთა პერიოდში მცხოვრები ქალების ისტორიების მოძიება/გაციფრულება

**დონორი; საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და კონრად ადენაუერის ფონდი, შპს „ბიოდიზელ ჯორჯია“**

- სოფელ თორსაში მალე გაიხსნება მეწარმეობის ახალგაზრდული ცენტრი, სადაც ახალგაზრდებს და ყველა დაინტერესებულ ადამიანს ექნება საშუალება გაეცნოს ტექნოლოგიური სიახლეებს.
- უცხოური ორგანიზაცია Global Enviroment Facility დაფინანსებით დღის ცენტრში ხორციელდება ენერგოეფექტური ღონისძიებები (ცენტრალური გათბობა, მზის კოლექტორების მონტაჟი)
- დონორი; საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის დაფინანსებით თორსაში ახალგაზრდულ ცენტრში დამონტაჟდა მზის კოლექტორი.

ორგანიზაციის უმთავრესი ძალა და რესურსი ახალგაზრდა თანამშრომლებია, როლებიც ორიენტირებულნი არიან განვითარებასა და წარმატებაზე. 2020 წლის უნიშველოვანესი მოვლენაა ახალგაზრდული სააგენტოს მიერ შექმნილ, ევროპული მოდელის პირველ ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოში ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის ანი ბუკიას არჩევა, რომელიც სამეგრელოს რეგიონს წარმოადგენს. საბჭოს შექმნის მიზანია ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც მათ ეხებათ, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე.

სექტემბერი ახალ სასწავლო წელთან ასოცირდება და ჩვენც მაქსიმალურად ვეცდებით მოზარდებთან, ბავშვებთან შევინარჩუნოთ დადებითი განწყობა, საქმიანი თანამშრომლობა და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობები.

ყველასთვის ცნობილია, რომ ერთი ადამიანი მასშტაბურ საქმიანობებს ვერ განახორციელებს, უმთავრესია გუნდი, რომლიც ცვლის გარემოს დადებითი მიმართულებით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ჩვენი გუნდის ყველა წევრს, მოხალისეებს: ანი ბუკიას, ანა კვაშილავას, შორენა კვინჩიას, ფიქრია თოდუას, ინდირა სალიას, მზია ლემონჯარიას, ლუკა კვაშილავას, მათე კიკალეიშვილს, ლია ხაბურზანიას.

ეს ის მცირე ჩამონათვალია, რასაც ჩვენი ორგანზიაცია ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალი იქნება საინტერესო და მეტი სიახლეებით დატვირთული.

**გვანცა კიკალეიშვილი.**

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ნინო სიჭინავა, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.